

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
 შპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
 შოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 17

1883—1897

15 სექტემბერი

გ ა ვ ე თ ი ს ო ა ს ი:

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვეთ 3 მან.	12 თვეთ 5 მან.
6 — 2 —	6 — 3 —

შულისა და წერილების გავზავნა შეიძლება ამ ადრესით:
Въ Копенгагенѣ, въ редакціи „Мислени“ и „Насмислѣ“.

საჯიროა რამე ვიფიქროთ უვიღების აღზრდაზე.


სექტემბრის ზირველმა რიცხვებმა გაიარა. მემრან ცრემლები მშობლების და იმ ბავშბების თვალეზზე, რომელნიც დირსნი არ გახდენ სასწავლებელში შესვლისა. რატომ არ იქმნენ მიღებულნი სასწავლებლებში ეს საცოდავი ბავშბები? რამ დააბრკოლა ივინა? ერთისაგან

შველა სტატეები და კორარესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეტდავთ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვენენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატეა, რომელიც არ დაიბეტდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატეები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეტდებიან.

გისმის შემდეგი: ოთხასი მანეთი მივეცი მასწავლებელს მოსამხადებელი, მაგრამ კარგად არ მოუმხადებია და ეგზამენი ვერ დაიჭირა. — მე ათასი მანეთი მაქვს დახარჯული ორ წელიწადში, მაგრამ მაინც ჩაიჭრა ეგზამენში, ამბობს მეორე. ჩემმა ბავშმა შვენიურად დაიჭირა ეგზამენი, მაგრამ მაინც არ მიიღეს, ამბობს მესამე. რაღა ვქნა, სადღა წავიდე, ბავშბს დრო მიუღის და სადღა მიიღებენ შემდეგში,



ამბობს მეოთხე. აკერ ზატარა ბავშებიც ეკითხებიან ერთმანეთს და როცა ტეობილობენ, რომ რჩეულნი მიუღიათ და სწავათვის უარი უთქვამსთ მიღებაზე, საცოდავით ტირიან და გულზე სკდებიან, რომ ზოგი მიიღეს და მათ კი სასწავლებელში მიღებაზე უარი უთხრეს. რომელ სასწავლებელშიაც მიხვალთ, თითქმის ყველგან ერთ ნაირი მწუსარება გესმის მშობლებისაგან და ბავშებისაგანაც სასწავლებელში მიუღებლობისა ან ბავშების მოუმზადებლობისა გამო. ამ წელში გულ დაწვეტილნი მშობლები და მათი ბავშები მეორე წლის სექტემბერს ელიან მოუთმენლად და იმედობენ, რომ თუ ამ წელში არა ეშველათ რა მათ, მომავალ წელში მანაც გაუღიებთ ბედი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მომავალი წლის იმედი ხშირად უცნურვლებათ ბევრს და ბავში სულ უსწავლელად ურჩება.

ბევრი საუკედურს აცხადებს სასწავლებლის მთავრობაზე, მაგრამ რა მათი ბრალია, როდესაც მთხოვნელები ასობით არიან და თავისუფალი ადგილი სასწავლებელში კი ათი და ოცის მეტი არაა. ბევრნი ამტყუნებენ ბავშების მომზადებლთ, რომ მათ კარგად არ უსწავლებიათ, მაგრამ თუ ადგილი არ არის, ხუთ-ხუთი ნიშნებიც რომ მიიღოს ბავშმა ეგ ხამენსე, როგორ მიიღებენ?..

ხშირად აუკებენ მშობლებს, რომ იგინი, ვითომც. არ ზრუნვენ თავიანთ შვილების რიგიანად აღზრდისათვის, მაგრამ საქმეს რომ ჩააკვირდე კარგად და გამოიკვლიო, თუ რამდენი ფულები ინარჩუნებ ეხლანდელ დროში ბავშების მოსამზადებლად და ისიც, რომ ხშირად ხარჯი ბავშებისათვის უსარგებლოდ რჩება, მშობლები შეგეცოდებათ და ტყუილ უბრალოდ

არ გაკიცხავთ მათ, რომელთაც, ვითომც, ზომა არ მიიღეს შვილების სასწავლებლებში მიცემისათვის და შვილები დროზე არ მოამზადეს.

სამწუსარო ის არის, რომ ბავშების მომზადებლად ფულებიც ბევრი ინარჩუნებ და სასწავლებლის მთავრობაც მონდომილია მთხოვნელები მიიღოს, მაგრამ ეხლანდელი დროის სასწავლებლები ვერ დააკმაყოფილებს ყველა მშობლების სურვილს. საზოგადოებას იმედი აქვს მართებლობისა, რომ ის გაუხსნის მას სასწავლებლებს და ყველა შვილებს გამოუზრდის. საზოგადოების ამისთანა სურვილი ძლიერ მოკლებულია ლოკიკურ მოსაზრებას. მართებლობამ რომ ისე მოაკვაროს საქმე, რომ ჰირველ დაწვებითი სკოლები გახსნას ხალხისათვის, ესეც დიდი მოწეალება იქნება, თორემ არასოდეს არ უნდა მოველოდეთ, რომ იმდენი საშუალო სასწავლებლები გახსნას, რომ მთელი საზოგადოების მოთხოვნილება დააკმაყოფილოს...

ამ წელში სახალსო განათლების მინისტრმა გამოაცხადა, რომ ნება ეძლევათ შინ მომზადებულთა ეგ ხამენი დაიკავონ გიმნაზიაში და ის უფლება მიენიჭებათ მათ, რაც უფლება ენიჭებათ გიმნაზიაში კურსს დამთავრებულთაო. ეს განკარგულება დიდ შეღავათს მისცემს ხალხს თავის საშუალებით შვილების კერძოთ აღზრდის საქმეში. ამ განკარგულების შემდეგ უოველ მშობელს საშუალება ეძლევა თავისი შვილი შინ მოამზადოს. თუ როგორ შეიძლება ამის ასრულება და ან რამდენად მოსახერხებელია ეს საზოგადოებისათვის, ამაზე შემდეგ ვიტყვით.

დევ. დ. ლამბაშიძე

ჩინელი ქალი ოჯახში და საზოგადოებაში.

ჩინელ მდიდარ ქალს ძლიერ შორს უჭერია თავი თავისი ღარიბი მემამულე ქალისაგან. ჩინეთში ჩამომავლობით დიდი გვარის არავინ არის, არავითარმე განსაკუთრებითი განსხვავება არ არის დიდკაცებსა, ვაჭრებსა ანუ მდიდარ მიწის მუშაკთა შორის. მათში განსხვავება დამოკიდებულია მხოლოდ ქონებაზე: მდიდარ ოჯახს ადვილად შეუძლია შეასრულოს ყოველივე ჩინური ჩვეულება და დღესასწაულობა, რომელიც კი კანონისაგან ნება დართული და სავალდებულოა. ღარიბებს ამის შეძლება არა აქვსთ, და ამიტომ მათი ცხოვრება ვერ შეედრება მდიდარ ჩინელების ცხოვრებას.

ჩინური სარწმუნოების თანახმად ბავშვების უმთავრეს მოვალეობას შეადგენს წინაპართა სამსახური და მსხვერპლის შეწირვა. ამ მოვალეობის შესრულება შეუძლია მხოლოდ მამაკაცს და კაცი, რომელსაც შვილები არა ჰყავს, მოკლებულია დამარხვის ჩვეულებრივ წესებს. მისი და მისი წინაპრების სული, ჩინელების აზრით, მუდამ მშობრია და უგზო-უკვლოდ დაეხეტება ქვეყანაზე. ამიტომ ქალის დაბადება ძლიერ საწყენათ ურჩებათ მშობლებს და სთვლიან სასჯელად, რომელიც მოველინებათ მათ ციდან მათი აწმყო და წარსული ცოდვებისათვის, განსაკუთრებით თუ იგი პირველი შვილია, ანუ მის დაბადებამდე სულ ქალიშვილები ჰყავდათ.

მამა არ ესწრება ყმაწვილის დაბადებაზე და მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ყმაწვილის დაბადებისა აქვს უფლება ინახულოს მეუღლე. ყმაწვილის დაბადებიდან მესამე დღეზე დიდის ამბით ასრულებენ ყმაწვილის წყალში ბანაობას, რომელზედაც ესწრებიან მელოგინე ქალის ყველა ნათესავები, რომელთაც საჩუქრები მოაქვსთ ახლად დაბადებული ქალისათვის.

ერთი თვის შემდეგ კიდევ სრულდება მეორე დღესასწაული. დედა პირველად გამოდის თავისი ოთახიდან და მიესალმება ოჯახს უფროს, შემდეგ იგი შედის ზალაში, აქ ნათესავებისაგან იღებს მილოცვას და საჩუქრებს ახლად დაბადებული ქალის სასარგებლოდ. შემდეგ მიდის ტაძარში და აქ უკმევს კოან-ინს-ლმერთს, რომელსაც ზეციურ დედოფალს ეძახიან. ეს დღე ღვინით თავდება.

როცა ვაჭი იბადება, მამინ კმევას ასრულებენ წინაპრების დარბაზში და მოუწოდებენ ქურუმთ ბატონს, რომელიც უსათუოდ ყმაწვილს გარს ახვევიან; გარდა ამისა იწვევენ მსახიობთ, რომ საზოგადოება გაართონ. ყოველივე ეს დღესასწაულობა ქალისათვის საჭიროდ არ მიაჩნიათ.

ახლად დაბადებულის ბაბუა (მამის მხრით) არქმევს სახელს ახლად დაბადებულ ქალს, საზოგადოდ იმ საგნის სახელს არქმევენ ბავშს, რომელიც კი მის თვალ წინ იქნება დაბადების დროს, მაგალ.: „წითელი ღრუბელი“, „ყვითელი ყვავილი“. ამ სახელს უწოდებენ რძის სახელს, და როცა ახლად დაბადებული შეიქნება 6-7 წლისა, მას ახალ «სასკოლო» სახელს არქმევენ. დანიშნულ დრომდე ყველანი ოჯახში ყმაწვილს ეძახიან «რძის და „სასკოლო“ სახელს, მაგრამ შემდეგ კი ამ სახელის დაძახება შეუძლიათ დედ-მამას და მასწავლებლებს. დანარჩენებისათვის რიგი არ არის, რომ ეს სახელი იცოდენ. გარეშე პირნი და არა თუ გარეშე პირნი, ძმებიც და სიძეებიც კი ქალს უწოდებენ: „ქალბატონო ლი“, ანუ ქალბატონო ტანგ», «დაბადებული» ლი ანუ „დაო“, «რძალო». დაბალ ხალხში უფრო „მამიდას“ და „დას“ ხმარობენ. ქმარსაც არა აქვს უფლება დაუძახოს ცოლს მისი სახელი; იგი უძახის „ჩემო მეუღლე“ ანუ «ქალბატონო»-ს. უბრალო ცოლ-ქმარნი ერთი მეორეს უწოდებენ „იგი“. უზრდელად მიაჩნიათ, თუ ვინმემ იხმარა სიტყვა «შენ», ანუ „თქვენ“. გარდაცვალებულთა სიებში გარდაცვალებულ ქალებს წერენ ან დედებად და ან მეუღლებად; ამ სახელით გადაცვალებულთა სულიც უახლოვდება მის წინაპართ. მხოლოდ დედოფლებს და იმპერატორის ხსენებს აქვსთ საკუთარი სახელები, რომელთაც იღებენ იგინი უმაღლესი განჩინების ძალით.

ყმაწვილს უმეტესად დედა ზრდის, ხან ნათესავი ქალი, შინაურ მოსამსახურეთაგანი, ანუ დაქირავებული ძიძა. თითოეული ქალი განურჩევლად აძლევს ძუძუს თავის ბავშსაც და სხვისასაც. ბავშს არც ძროხის და არც თხის რძეს არ აქმევენ, რადგან ამის გამო, ჩინელების აზრით, ყმაწვილი უახლოვდება ცხოველებს, რაც აკრძალულია კანონით. ქალებს ყოველთვის მხიარულ ფერის ტანთ-საცმელს აცმევენ. წითელს, ყვითელს და მწვანეს. თავს პარსვენ, მხოლოდ ორ-სამ ბლუჯა ბალანს სტოვებენ

თავზე, რომელიც იზრდება, ნაწნავად აკეთებენ და ბოლოს წითელი ლენტით უკვრენ.

თავდაპირველად, მართალია, მშობლებს საწყენათ რჩებათ ქალის დაბადება, მაგრამ მერე კი ძლიერ მოფერებით ეპყრობიან, არას დროს არ ცემენ და არც სჯიან. პირველ წლებში ძლიერ კაი დროს ატარებს ქალი. იგი თამაშობს ძმებთან, ნელ-ნელა ეჩვევა ოჯახობას, თავის დაკვრას, სხვა-და-სხვა წესებს და ამითი თავდება, თითქმის, მისი აღზრდა.

6 - 7 წლიდან ქალი იწყებს ახალს ცხოვრებას. მას კეტვენ შუა ოთახებში, აშორებენ ძმებს, და ამხანაგ ყმაწვილებს (რომელნიც ეხლა სწავლობენ და ამის შემდეგ აღარ უნდა დაუახლოვდნენ ქალიშვილ ქალებს), და უმახინჯებენ მათ ფეხებს. დახელოვით და შეხვევით უღუნვენ ქალს ფეხის თითებს

დი კაცის ცოლი დედოფალთან ვერ შევა, თუ პატარა ფეხი აქვს. ყოფილა შემთხვევა, როცა მანკურელ კაცს ცოლად უთხოვია ჩინელი ფეხ დამახინჯებული ქალი, მაგრამ არც ერთი ჩინელი არ ითხოვს მანკურელ ქალს, რომელსაც ჩვეულებრივი ფეხი აქვს.

ქალებისათვის ჩინეთში სასწავლებლები არ არის, ქალი მუდამ ოჯახში სწავლობს. თითოეულს მდიდარს ოჯახში ვაჟებისათვის ჰყავსთ რამდენიმე მასწავლებელი, რომელნიც სცხოვრებენ სახლებში და ოჯახის წევრებად ითვლებიან. როცა ეს მასწავლებლები ვაჟებთან მეცადინეობას გაათავებენ, შემდეგ თავისუფალ დროს ქალებთან მეცადინეობენ. ხან-დისხან რამდენიმე დიდი ოჯახი ერთად იკრიბება და საზოგადო სკოლას ხსნის ყველა თავიანთი შვილებ-



იაპონელი ქალი.



ჩინელი კაცი.



ჩინელი ქალი.

ფეხის გულისკენ, ასე რომ მთელ ფეხის ჩონჩხს ღუნვენ ფეხის გულისაკენ, ამის გამო ფეხის გულში დიდი სიღრმე რჩება და მთელი ტანის სიმძიმე აწევს ფეხის დიდ ცერს და ქუსლს. რამოდენიმე წელიწადია საჭირო, რომ ჩვეულებრივი ფეხი ასე დამახინჯდეს. ასე ფეხის დამახინჯება არ უშლის ქალებს თავისუფლად სიარულს, მოსამსახურე და გლეხის ქალები მუშაობენ, ტვირთი დააქვსთ და ყველანი აუცილებლად ასრულებენ ამ ჩვეულებას. პატარა ობლებიც კი, რომელნიც ქრისტიანების თავ-შესაფარში მოხვდებიან ხოლმე, ითხოვენ, რომ მათ ფეხები შეუკრან, რადგან იციან, რომ, თუ სწორი ფეხი ექნებათ, იგინი ვერ გათხოვდებიან. მხოლოდ ფეხს არ იფუჭებენ მანკურელი ქალები, რადგან ჩინელი დი-

ბისათვის. ასეთ სკოლებში ქალები სწავლობენ ძმებთან ერთად 12—13 წლამდე, 12-13 წლის ჩინელი ქალი თხოვდება და ამიტომ ქალები ამ დრომდე ათავებენ პირველ დაწყებით სკოლებს, რომელსაც ათავებენ ამ დროს ვაჟები. ყმაწვილებს ზეპირად და გაუგებრად აზეპირებიებენ ძველს ეგიპტურ გაუგებარ ხელ-ნაწერებს. ღარიბ ოჯახებში მარტო უჩვენებენ ქალებს ამ ხელ-ნაწერებს.

არავითარი სარწმუნოებრივი განათლება არ არის ჩინეთში. შინაური მსხვერპლის შეწირვა და ტაძარში სიარული — ფორმალური და სავალდებო ჩვეულებაა, რომელიც დაფუძნებული არ არის არც რაიმე დოღმატზე და არც რაიმე ზნეობითი კანონზე.

უმთავრეს სასწავლო საგანს შეადგენს სხვა-და-სხვა

ცერემონიების შესწავლა და ეს საგანი ყოველმა ჩინელმა სისრულით იცის. ცერემონიის საკუთარი მასწავლებლები არ არიან ჩინეთში, როგორც იაპონიაში: ამ ცერემონიას სახლშივე სწავლობენ.

სამხრეთ ჩინეთში უფრო მომეტებული განათლებაა. კანტონში არიან მასწავლებელი ქალები მუზიკისა, პოეზიისა, მწერლობისა, ხატვისა და ქარგვისა და ამიტომ აქ ქალიშვილი ქალები იღებენ უფრო მომეტებულ განათლებას. შესანიშნავია ზოგიერთი ქალების სახელები, როგორც ისტორიის და ზნეობის მწერალთა. ჩრდილოეთისკენ მუზიკის და ხატვის სწავლება ძვირია. მანჭურიაში ყმაწვილს რვა წლიდან ასწავლიან საერო ენას, როგორც უცხოთ, ქრისტიანების თავშესაფარ სახლებში ჩინელ პატარა ქალებს წერა-კითხვას ასწავლიან.

საზოგადოდ მთელს ჩინეთში განათლება ძლიერ ნაკლებად არის გავრცელებული. ჩინეთლები დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ ქალს, როგორც მოაზრე არსებას; მათ საჭიროდ მიაჩნიათ ქალი თავისი ცხოველური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და შვილიერობისათვის. ამითი თავდება ქალის დანიშნულება და ამიტომ ქალისათვის საჭიროდ არ მიაჩნიათ განათლება.

ჩინელი ქალის ცხოვრებაში შესანიშნავია ქორწინება. მაგრამ ქორწინება ახალ-გაზდა კაცსა და ქალს შორის სრულიად მათ შეუტყობლად ხდება, მხოლოდ საჭიროა ორი ოჯახის მამის სურვილი. ქალს 13—15 წლისას ათხოვებენ. ქორწინების წინ ხდება დანიშვნა. ხშირად მშობლები ნიშნენ შვილებს პატარაობისას და ახალ დაბადებამდე. ამ დანიშვნას ხან-დის-ხან ძლიერ სამწუხარო შედეგი მოსდევს. თუმც კანონით აკრძალულია, მაგრამ დანიშნულები ძლიერ უახლოვდებიან ერთი ერთმანერთს.

დანიშვნა წერილობით ან სიტყვიერად ხდება, პირობის წითელ ქაღალდზე ხელს აწერს ორივე მხარე. ხან საკმაოა წინდის მიცემა, და კანონი ამ პირობის დამარღვეველს სჯის როზგის დაკვრით. ხან-დის-ხან გასათხოვარი ქალი თავისი დანიშნულის სიკვდილის შემდეგ ქვრივად სთვლის თავის თავს და ხშირად გაუთხოვრად რჩება თავისი საქმროს პატივსაცემლად. ასეთი შემთხვევები იშვიათია, მაგრამ კანონი და ზნეობის მასწავლებელნი ხელს უწყობენ ასეთ საქციელს და ასეთი ქალები ოფიციალურად

ჯილდოვდებიან ქებითი ფურცლებით და საჩუქრებით.

კანონით დანიშნულებმა აღარ უნდა ინახულონ ერთმანერთი 6—7 წლიდან ქორწინებამდე. საცოლოს მშობლები ხან სრულებით ვერ იცნობენ სასძლოს, მხოლოდ მანჭურიაში სასძლოს აჩვენებენ საცოლოს მშობლებს დანიშვნის ანუ პირობის შეკვრის შემდეგ. ჩინელი ქრისტიანები, რომელნიც თავის შინაურ ქორწინებამდე ასრულებენ სარწმუნოებრივ ქორწინებას, როცა მწკრივით დგანან ანალოგიის წინ, ზურგს შეაბრუნებენ ერთი-ერთმანერთს და ისე უცვლიან ერთმანეთს ბეჭდებს.

დაქორწინების უმთავრეს პირობას შეადგენს, თუ არავითარი ნათესაობა არ არის ორ ოჯახს შორის და ამას გარდა საცოლო და სასძლო უნდა იყონ სხვა-და-სხვა გვარისა (რომელიც ჩინეთში 454), ნათესავეებიც რომ არ იყვნენ. შემდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს ასტრონომიულ დაკვირვებასაც. ყოველი კაცი, ჩინელების აზრით, დამოკიდებულია თავისი დაბადებით რვა ნიშანზე. თუ ვაჟის ნიშნები არ ემზავებსებიან ქალისას, -ქორწინება შეუძლებელია. ასტროლოგების შემწეობით ირჩევენ მეგობარ ქალებს, ნიშნენ დღეს და საათს, როცა უნდა მოხდეს დღესასწაულობა, ირჩევენ გარიზონტის ბედნიერ მხარეს, საითკენაც უნდა წადგენ თაყვანის ცემის დროს, და სხვ.


დანიშვნის დღესასწაულობა, მსხვერპლის შეწირვა, ლხინი, საჩუქრების გზავნა სასძლოსადმი გრძელდება ორი-სამი თვე. სამი დღით ადრე ქორწინებამდე ეგზავნება ქმარს თავისი საცოლოს მზითები. შემდეგ თვითონ სასძლო მიდის საცოლოს დედ-მამასთან დახურული ტახტრევანით. დედ-მამა აბარებს სასძლოს ქალს, რომელსაც შემოხვეული აქვს წითელი საფარი, საქმრო დააჯენს საცოლოს ტახტრევანზე, თვითონ კი წინდაწინ გამოსწევს და შემდეგ მიეგებება საცოლოს კარებზე. სასძლოს თან მიჰყვებიან მეგობარი ქალები დიდის ამბით და სატკაცუნებლების ხმაურობით, რომ გაფანტონ ბოროტი სული. საქმროს სახლში ახალ დაქორწინებულთ აძლევენ ხელში თითო ბადია ღვინოს, იგინი ნახევრამდის სმენ ამ ღვინოს, მეტე შეცვლიან ბადიებს და ბადიას მთლად ცლიან, აი ამით თავდება ქორწინება. ქორწინება გათავებულია. სასძლო შეჰყავსთ

ცალკე ოთახში, იქ მას ხდიან წითელ საფარს და საქალიშვილო თავსაკრავს შუბლიდგან, აცმენ და თავს უფარცხნიან გათხოვილ ქალივით, და აგლეჯენ თმას საფეთქელზე. შემდეგ იგი ბრუნდება ზალაში და მიესალმება ქმარს, მას მშობლებს და ნათესავეებს. პირველად აქ ხედავს მას ქმარი. შემდეგ იწყება ქალის განსაცდელის დღეები. ყველა მოპატივებულნი და დაუპატივებულნი, მეზობლები, გამვლელნი და მათხოვრებიც კი (თუ მათ სამოწყალო არ მისცეს) მიდიან ახალ მოყვანილ ქალთან, უკვირდებიან, სინჯავენ და თავის შეხედულებას ყველას გასაგონად ლაპარაკობენ. ქალი კი შეუშფოთებლად უნდა იჯდეს, არც უნდა იტიროს და არც უნდა გაიკინოს, არც უნდა ილაპარაკოს და თუ ასე ვერ დაიკავა თავი, მაშინ საძაგელ დაცინვას დაუწყებენ.

ჯვარის წერის მეორე დღეს, ქალს წარუდგენენ მისი ქმრის წინაპრებს, შემდეგ ორი დღე ღვინობენ და, დაბოლოს, იგი თავის მხრითაც წარუდგენს ქმარს თავის წინაპრებს.

ხან-დის-ხან მოხდება, რომ ქალიშვილები ეწინააღმდეგებიან ძალაობით დაქორწინებას და აცხადებენ, რომ თავს მოიკვლენ და აღნიშნულს საქმროს კი არ გაჰყვებიან. ზოგიერთები მშობლებთან რჩებიან, სხვები მონასტერში მიდიან. სამხრეთ ჩინეთში არსებობს საიდუმლო საზოგადოება, სახელად „ოქროს ია“. ამ საზოგადოების წევრნი არიან ახალ-გაზდა ქალები, რომელთაც აღთქმა აქვთ დადებული, რომ მხოლოდ თავის ნებით და სურვილით გათხოვდნენ. მაგრამ ეს ძლიერ ძვირად მოხდება. კანონით შვილები ხმის ამოუღებლად უნდა ემორჩილებოდნენ მშობლებს.


ახლად გათხოვილი ქალი თავისი ქმრის ოჯახში ითვისებს ყოველივე ახალ წეს-რიგს. თავს ანებებს თავის წინაპრებს, თუმცა კი ახსოვს ისინი და კიდევ ემსახურება მათ, როცა დედის სახლში მიდის და ისიც ძვირად. ჩინელების აზრით, როგორც ქმრის და ცოლის ცოცხალი მშობლები და ნათესავეები უახლოვდებიან ერთმანეთს, ისე მათი წინაპრები და ამ სახით ორ ოჯახს შორის არსდება ნათესაობითი კავშირი.

აჯაზაკი კიჩი.  ეროვნული
ბიბლიოთეკა

(დასასრული*).

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. უმთავრო მაგრამ ნათელი ღამე იყო. ცის გუმბათს ურიცხვი მნათობნი ანათებდნენ, თვალ აუწვდენელი ფიქვების ჩრდილი ჰფარვიდა ნაზსა და ახალ გაზდა მდგლოს. კიჩი დაჯდა მიწაზე, ამოიღო ქისა და თამბაქოს აუკიდა. აქედანაც მოჩანდნენ დაღებულნი ქიშკრებიდან განათებული სარკმელები ტაძრისა. ზურგით ხეს მიეყრდნო და თვალ-ყურს ადევნებდა ყველაფერს, რაც ხდებოდა. სარკმელებში მოჩანდნენ ხალხის თავების ჩრდილი. «ახლად ცისკარი დასრულებულა და ხალხი სამღვდლოებასთან მიდის მისალოცად. მალე წირვისათვისაც დარეკენ და საქმესაც შეუდგები! კიჩი მიეცა ფიქრებს, თუ როგორ მოეხერხებია ეს საქმე უმჯობესად. მაგრამ ის გამოათხიზლა ამ დროს მეორე მხრიდგან ამოშუქებულმა სინათლემ. მობრუნდა მისკენ. სინათლე მოძვრებოდა ტვერში გამარტოვებულ სამლოცველოს სარკმელებიდან. «ნუ თუ არის ვინმე იქ? ვინ უნდა იყვეს? ახლა ყველანი ცისკარზე არიან. ფიქრობდა კიჩი. იქნება სანთელი ერთო და წაეკიდა რასმეს? მაგრამ რომ არ მიაგავს. სინათლე ნაზია, მკრთალი, მტრედის ფერი. უთუოდ უნდა ვნახო! ფიქრობდა გაოცებით კიჩი. წამოიწია ასადგომად, მაგრამ ისევ შეჩერდა და ხეს მიეყრდნო. ამასობაში გაიღო სამლოცველოს კარები, იმავე ნაზმა და მტრედის ფერმა სინათლემ გამოაშუქა ტვერში ფართო ზოლი. კიჩი შეაჩერდა კარებს... რა ამბავია ეს? სიზმარში ხომ არ ვარ? არა. მოაშორა თვალი, გახედა არე-მარეს, ყველაფერს ხედავს. ხედავს ის ერთს, მეორეს, მესამე, მეათე ნატიფს ადამიანისას. მერე ვინ არიან ისინი! გრძელ და შავ სამოსლიანი, სინათლეს ვერ აჩრდილებენ, არც თვითონ უშვებენ ჩრდილს. პირის სახე განათებულ-გაბრწყინებული აქვთ, ყველას ბზის ტოტები უჭირავთ ხელში და თავზე ვიწრო ზოლის მოელვარე გვირგვინი ადგიათ. დაემვენ კიდევაც სამლოცველოს კიბეზე. სინათლის ზოლი თან მოსდევს და მისგან როგორც საცეცხლოურიდან, ციმციმებს და ასდის წითელი ბოლი.

*) იხილე „მწყემსი“ № 15, 1897 წ.



მამები რალაცას გალობდენ. კიჩეი გრძობდა ამას, მაგრამ მათი ხმა კი არ მოსდიოდა. სად მიდიოდენ ისინი? ეტყობა, რომ მისკენ მიდიან. აქნობამდე შეუპოვარ, უშიშარ ბელადს თმა ყალყზე დაუდგა და ქუდი თავიდან გადმოუარდა. მას რომ მოსჩვენებოდა არა თუ ცოდვილთა აჩრდილი, არამედ თვით ეშმაკი და ყველა მაცდურებიც, ისე ვერ მოიცავდა შიშის ზარი, ვინაიდან ეს სურათი უფრო ესაღმუნებოდა მის დაქანგულს სულს, ვინემ ის სურათი სინათლისა, მყუდროებისა და ნეტარებისა. წინ რომ მიუძღვის, ეს ის მოხუცია, რომლის სათნოიანმა გამომეტყველებამ მაშინაც შეაკრთო, მას მოჰყვებიან ხაზინადარი და სხვები... ხედავენ ისინი იმასაც, როგორც ის მათ? უეჭველად ხედავენ. ილუმენი პირდაპირ მას შესტეხია. და რა! არამც თუ ბოროტება, მწუხარებისა და ბოღმის ნიშანიც არ ეტყობა სახეზე. რას ჰქვიან მწუხარება! მათ ბრწყინვალე პირის სახეზე ნათლად იხატება სიხარული, ის სიხარული, რომლის შეხედვა ცოდვილისათვის სამძიმოა. კიჩეი უგონოდ გამოექანა ტვერიდან, დაჩქარებით მოუარა მონასტერს და მიადგა უმთავრეს კიშკარს, და გამოვიდა მოედანზე, სადაც სასტუმრო იდგა, ეკკლესიიდან გამოსული ხალხი სულს იბრუნებდა და ისევ ბრუნდებოდა ეკკლესიაში. უგრძობი, საკვირველი აჩრდილისაგან დევნილი, სულ წინ-და-წინ მიდიოდა, მაგრამ როდესაც მიაღწია გარეთ უბანს, გამოირკვა და უკან დაბრუნდა. თვალ-წინ ისევ წმ. კარები და მის ფართო, ბნელ თაღს ქვეშ ერთი იმ მამათაგანი; კიჩეიმ მაშინვე იცნო ის. ეს ნატიფი მაშინაც პირველად შეხვდა მონასტერში. ეს იყო კარის კაცი, რომელმაც კიშკრები გაუღო. „ბატონო! რა გინდათ ჩემგან?“ წამოიძახა, თითქმის გასავონათ, კბილების კაწკაწით. მაგრამ კარის კაცი მხიარულად მომღიმარი უქნევდა ხელს თვისკენ. ბელადი გაჩერდა ერთ ადგილას, როგორც გაქავებული. გეგონებოდათ, მთელი სხეული, მთელი გამომეტყველება ეუბნება „ვერ მოვალთო“. მაგრამ კარის კაცი ისევ დაქინებით და მოსიყვარულედ უქნევდა ხელს და რალაცაზედ სინათლის სიღრმეში უჩვენებდა. კიჩეიმ უგრძობად გადასდგა წინ ნაბიჯი. მაგრამ ისევ შეჩერდა, თავის ნებით კი არა. მონასტრის წმ. კარებში, თვით შესავლის ზევით ხელ აპყრობილი იდგა გამოუთქმელი სიმშვენიერით შემკული ქალწული. კიჩეიმ ინსტიქტიურად მიიფარა

პირზედ ხელები. იგი მიხვდა, ვინ იყო ეს კარის კაცი. თუმცა არ უცქეროდა, მაგრამ ხედავდა, რომ ხელში სამოსელი ეჭირა, და რალაც აქნობამდე უცნობმა გრძობამ მოიცვა ის,—გრძობამ განუსაზღვრელი შიშისა, სევდისა და რალაც კიდევ, რომლის დასახელება არ შეეძლო. კიჩეი იდგა რამდენიმე წუთს, შემდეგ ისევ პირ ხელ დახურულმა სცადა წინ წასვლა, მაგრამ ხელები უნებლიეთ ძირს ჩამოუცვიდენ, რადგანაც ხედიდა, რომ ხატი ისევ წინ ედგა, უნდოდა თვალები დაეხუჭა, მაგრამ ქუთუთოები არ ემორჩილებოდენ, თითქოს მიუჯაჭვავთ ამ საკვირველ ხატზე. რა სიძლიერე გამოიხედებოდა ამ მშვიდ თვალებში! რა ძალა იყო იმ აპყრობილ ხელების მოძრაობაში! კიჩეი შესტკეროდა ამ საოცარ სანახავს და ვერ ახერხებდა თვალების მოშორებას. უეცრივ იგრძნო, რომ მუხლები ეკვეცება და მიწაზედაც დაეცა. თუ რამდენს ხანს იყო ამ მდგომარეობაში, ამას ვერ გრძობდა და არც ახსოვდა. ის მაშინ გამოირკვა, როდესაც ერთმა მის მხლებელთაგანმა ხელი დაჰკრა მხარზე და ჩასძახა: „ბატონო, ბატონო! რა მოგივიდათ? ავად ხომ არ შეიქენით? ლიტურღია სრულდება, მლოცველები მალე დაიშლებიან“.

კიჩეი კიდევ დიდ ხანს ვერ მოვიდა გონს, თუ სად იყო და ან რა საქმე ჰქონდა ლიტურღიასთან, მაგრამ როდესაც გამოირკვა, მაშინვე უბრძანა:

—წადით ეხლავე შინ, მე ცოტას შემოვიციდი და მერე მოვალ!

—შინ?! გაოცდა მხლებელი.—მონასტერი? მაშ ტყუილად ვიყავით აქ?

—თქვენ გიბძანეს შინ წადითო! როდის დაიწყეთ ეს წინააღმდეგობა! მრისხანედ დაუყვირა ბელადმა.

—კარგი, წავალთ შინ... თქვენ უფროსი ბრძანდებით... როგორც იქნება.. მე მხოლოდ იმას მოგახსენებდით... მაგრამ კიჩეი ყურს აღარ უგდებდა. მოიკრიბა ძალ-ღონე, წამოდგა ზეზე და ბორძიკით გასწია მონასტრისკენ. წინ მრავალი ხალხი ეჩვენებოდა. თურმე ლიტურღია დასრულებული იყო. კიჩეი შესგდა ერთს წუთს, თითქოს ისაზრებს, რისთვის მივიდა და ან რა უნდა ქნასო. ამ დროს მოესმა ეკკლესიიდან გალობა და მთელი რაზმი წყობისად მომავალი ბერებისა ილუმენის წინამძღოლობით გამოვიდა გარედ და შავი ზოლივით გაჰყვა მონასტრის

სატრაპეზოსკენ, სადაც ძმათათვის მოემზადათ სერი. კიჩეი დაეშვა მიწაზედ, კედელთან, ჩამოჯდა იქ და უგრძობლად გაიყურებოდა სადღაც. დაბოლოს ეკკლესიიდან გამოვიდა მნათე, დაინახა რა კიჩეი, მივიდა და ჰკითხა:

—აქ რას უზიხარ! წადი სასტუმროში, ეხლავ გაიტანენ საუზმესა.

—გმადლობთ, მამაო, მოვესწრები, უპასუხა კიჩეიმ. —ილუმენის ნახვა მინდა და იმას უცდი. დიდს დაიგვიანებს?

—ეხლავ დაბრუნდება, ეხლავ! ბერების სერი დიდხანს არ გრძელდება, მოსწრებით უთხრა მნათემ და გასწია წინ ეკკლესიის გასაღების წკრიალით

მართლაც დიდ ხანს ცდა არ დასჭირვებია კიჩეის. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდნენ ეკკლესიისკენ მომავალი შავი ნატიფნი—ბერთა, რომლებიც საუზმის შემდეგ თავთავიანთ სენაკებში მიეშურებოდნენ. სატრაპეზოს კიბეზე გამოჩნდა მალალი, ბეჭებში მოხრილი ნატიფი ილუმენისა. კიჩეიმ დაინახა, წამოდგა, მოიხადა ქული, მივიდა მასთან და მოახსენა:

—მამაო, მე ერთი დიდი რამ მაქვს მოსახსენებელი თქვენთვის! მოგვცემთ ნებას, გამოგყვით?

—როგორ არა, წავიდეთ, წავიდეთ, მხიარულად უპასუხა ილუმენმა. ამოიკეცა ხელით სამოსელი და გასწია ჩქარი ნაბიჯით. კიჩეი დაედევნა კვალ და კვალ, მაგრამ სანამ აღვილიდან დაიძროდა, ერთი კიდევ გახედა ეკკლესიას. რას ეძებდა იქ? იქნება პასუხს იმ იდუმალ, მქეჯნავ კითხვებზე, ან შემწობას მის გაუბედაობისა და ყოყმანის წინააღმდეგ, ან მადლოს იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც აღშფოთებულ სულს არ უსვენებდა!

შევიდა რა სენაკში, ილუმენიმ დაიწერა პირჯვარი, ბერების ჩვეულებისაგან, და შემდეგ სტუმარს მიუბრუნდა დასალოცად. კიჩეიმ კარგად იცოდა ეს ჩვეულება მონასტრებში, მაგრამ მაინც შეკრთა, როდესაც მის ზევით აპყრობილი ხელი დაინახა, ის ერიდებოდა თავისი შეხებით არ შეეწიკვლა სიწმიდე; მხოლოდ მოახსენა ვემთხვიეო. ჩამოვარდა სიჩუმე.

—მამაო, დაიწყა დაბოლოს გაბედულად კიჩეიმ. —ხომ გაიგონათ ოდესმე ბელადი კიჩეის სახელი, რომელიც არბევდა ამ არე-მარეს თავისი ბრბოთი?

—როგორ არა, გამიგონია! თვითონ მე ამ ტყის მკვიდრი ვარ, წინეთ განდგეილად ვცხოვრებდი,

და როდესაც მონასტერი დაიწვა, რამდენიმე გარეშე პირნი და მათში მეც, მოვედით აქ, რათა ვმსახურებოდით ზეციურ დედოფალსა და შეგვედგინა ხელახლა გუნდი ბერთა მისი სავანისათვის

—მაშ თავათ ის კიჩეი სდგას ეხლა თქვენს წინ, ის კიჩეი, რომელმაც სამის წლის წინედ ცეცხლს მისცა თქვენი მონასტერი. მე ახლაც ამ მიზნით მოვედი აქ... რაც შემემთხვა აქ, ამას შემდეგ მოგახსენებ ოდესმე, თავისუფლად რომ იქნებით. ახლა, მამაო, გვიბრძანეთ: შეგეშინდებათ მგლის მიღება ქრისტეს ცხოვართა შორის? შეგეშინდებათ მიიღოთ კაცის მკვლელი, წყეული თქვენს საღანეში?

ერთ წუთს ილუმენის სახეზე ეჭვი და ყოყმანი იხატებოდა, მაგრამ მალე დაიწყა ისევ:


—შენ ხომ ნახე, რა სწერია აქ წმ. კარებზე? „რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე!“ მასადამე მე არ შემიძლია არ მიგიღო, რომ კიდევ მსურდეს ეს.

—მამაო, მოსწრებით გაუწოდა მოხუცს ხელები კიჩეიმ და დაეცა მუხლებზე. —დამატყვევეთ, ბორკილი შემეყარეთ, უბრძანეთ კედელზე მიმჯაჭვონ, ხოლო აქედან ნუ გამიშვებთ. მე არ მოვდივარ ცხოვნების მოსაპოვებლად, მე ვიცი, რომ ამ გვართათვის შეველა არ არის, მხოლოდ არ მინდა კიდევ ვსცოდო.

—ვინ გითხრა, რომ შეველა არ არის შენთვის? დაიწყა ილუმენმა—ხომ გაგიგონია, როგორ შეიწყნარა უფალმა მონანებული ავაზაკი?

—ეს ჩემზე არ ითქმის, მამაო, მან ივნო, ჯვარზედ მოკვდა, იქნება, ცოდვებიც არ ჩაუდენია ჩემდენი. მე ასჯერ უნდა ამაკრან ჯვარზედ, არც ერთი ძვალი არ უნდა დამიტოვონ მთელი. ასეთი წამებაც ვერ დაფარავს ჩემს ცოდვებს.

—კარგი, შენ არ გაგიგონია იგავი მაცხოვრისა უძღვებ შეილზე, არ გაგიგონია, რომ უფალი დიდის სიყვარულითა და სიხარულით მიიღებს ყველას, ვინც კი შევედრება სინანულით, და მტკიცე აღთქმით, რომ კვლავ აღარ ცოდავს? შენ მე მეკითხები, თუ მიმიღებო! როგორ შემიძლია არ მიგიღო, როდესაც კარგად ვიცი თვითონ უფლის სიტყვები, რომ მრავალ არს სიხარული ცათა შინა ერთი ცოდვილის მოქცევისა გამო? როგორ შემიძლია მოვაკლო ამ სიხარულს, როგორ შემიძლია ბრძნობა, როდესაც შენს მოქცევას თვითონ მფარველი ამ მონასტრისა ყოვლად წმ. მისი დედა ლოცულობდა? ნუ თუ არ



განმაგდებს ხვალვე სასჯელით თვისი სავანიდან, როგორც ურჩსა და სასტიკ მონას? შენ ეჭვობ, შემინდობს თუ არა ღმერთიო, მაგრამ ხომ ხედავ, ჩვენ ადამიანები გღებულობთ. რომ ვინმემ სხვამ მთხოვოს სავანეში მიღება, სხვა მამების შეუკითხავად ვერ მივიღებ; იქნება რომელიმე მიზეზის გამო, უადგილობისა, თუ უსაღსრობისა, უარიც უთხრათ და არც შეგვეშინდება ამისათვის დედოფლისა, იმ იმედით, რომ რა კი ადამიანს გარდაწყვეტილი აქვს ჰაზრი, აქ თუ ვერა, მეორეში იპოვის თავშესაფარს. შენ კი, როგორც ხედავ, ერთბაშად გღებულობ, დაუკითხავად, მოულაპარაკებლად, ვინაიდან ასეთებს, როგორც შენ ხარ, უნდა გაუწოდოთ ხელი დაუყონებლივ, უნდა ვისარგებლოთ წუთითაც, უნდა მაშინვე დავეხმაროთ მედგრად. და თუ ჩვენ ასე ვიქცევით, განა ღმერთი გაგრისხავს? რა არის ჩვენი სათნოება ზე სიყვარული ადამიანისადმი მის ღვთაებრივ სიყვარულსა და მზრუნველობასთან! მისთვის არა არის რა უძვირფასესი ადამიანის სულზე, რაც უნდა მძიმე იყვეს შენი ცოდვები, მაინც ვერ სძლევენ მის სიყვარულსა და ღმობიერებას. მაშ ნუ ჰკარგავთ სასოებას, ნუ შფოთავთ, ძმაო, ხომ გაგიგონია არაკი: „ღმერთს ვერ ვასწავლით ადამიანის ცხოვნებას“. თუ თავის თავს ვერ დაენდობი, მას დაენდევ. ის ყოველივე კეთილს მოგანიჭებს.

კიჩი მიიღეს ილიას სავანეში. მისი საკუთარი თხოვნისა და სურვილისამებრ, ის დააბინავეს ერთ პატარა განაპირა ქვის შენობაში, რომელიც იდგა მონასტრის გალავანში, და სადაც ინახავდნენ სხვა-დასხვა საბაღოსნო იარაღსა და მონასტრის ზოგს ავეჯებს. კიჩი ვერ განდობოდა თავის თავს და ეს ბინა იმიტომ აირჩია, რომ მისი ქვის კედლები სქელი, მაგარი იყვენ, ფანჯრები ვიწრო, პატარანი და რკინის მავთულგებიანი ჰქონდა. ამ პატარა ქოხ-მანში გამოცდილის ილუმენის თვალ-ყურის დევნებით და ღარიგებით დაიწყო მისი ახალი ცხოვრება. რა ნაირი იყო ეს ცხოვრება? შეიძლება განა გამოსთქვას ენამ სიღრმე სინანულისა, რომელიც აღიძრა ავაზაკის მიძინებულს სულში? არც ერთს რუსს არ შეუთვისებია უღრმესად და უმტკიცესად ქრისტიანობრივი სარწმუნოება და მაღალი ჭეშმარიტებანი სახარებისა. ეს სარწმუნოება ისე ღრმად და ძლიერად ჩასწვდა მის სულსა და გულს, რომ არავითარ გარემოებასა, არც ერთს გახრწნილს წრესა და ცხოვ-

რებას აღარ შეეძლო შეებლალა. ავაზაკის თვითნებაზე და, გარეგნობით, დაუცხროველ ცხოვრებას დაჩვეულს სულსა და გულში მუდამ, უცვლელათ არსებობს ისეთივე მდებალი გრძნობა თვისი ცდომილებისა, და რწმენა მომავალი მსჯავრისა, როგორც სხვა ყველა ადამიანში. სახარების მოძღვრებისაგან განათებულს მის სინიღისს, მართალია, სძინავს, იჩრდილება კიდევაც, მაგრამ ამორეცხილი კი არ არის ძირიანად, და სანამ ხის ძირი მრთელია, ყოველთვის უნდა მოველოდეთ მის ამოცენებას, ნაყოფს, ამიტომაც ხშირად მომხდარა, რომ თვით უბრალო გარემოებასა, შემთხვევას გაუღვიძებია ბოროტებაში და სიაკაცეში ჩაფლული ავაზაკის სინიღისი და იმ სიძლიერით და ქენჯნით აუძრავს, როგორც არ შეეძლო აეტანა ადამიანის დაუძლიერებულს ბუნებას, თუ არ რაღაც ზეციური შემწეობით.

მონასტერში ყოფნის პირველ წლებში კიჩი ხშირად ვარდებოდა საშიშ სასოწარკვეთილებაში, — შიშში, რომ ვერ დაიმსახურებდა ღვთის წინაშე შენდობას თვისი ურიცხვი ცოდვებისათვის. ჭკვიანმა ილუმენმა ბევრი შრომა ნახა, რათა გაემხნეებია ის ასეთ წუთებში, შთაებერა იმედი მის აშფოთებულ გონებაში, შეძრწუნებულ სულში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ასეთი საოცარი სასოწარკვეთილებაც მიუსუსტდა, გაუქრა. დაუცხრა ქარიშხალი, რომელიც გულს უკოდდა. ძლიერი ბრძოლისა და მღელვარებისაგან მოხარშულ გულში თანდათან მყუდროება დამყარდა. ათის წლის შემდეგ მონასტერში შესვლისა მან მიიღო ბერობა აბრაამის სახელით. ძმებს უხაროდათ წაწყმედულის მოპოება და უკვირდათ სიღრმე მისი სინანულისა. ღამით მონასტერი მოკული იყო სიბნელით სიჩუმით, მაგრამ ამ დროს ყოველთვის მისი სენაკის სარკმლიდან სანთელი აშუქებდა და მისი პირჯვრის წერის და მუხლთმოდრეკის აჩრდილი იხედებოდა. აბრაამი პირველად შემოდოდა ეკლესიაში და უკანასკნელად გადიოდა, მაგრამ უფრო ხშირად დაინახავდით სადღაც ტაძრის ერთ კუნჭულში, საიდანაც ღვთის მშობლის ხატი კი უთუოდ უნდა გამოჩენილიყო, მუხლებზედ დაყრდნობილს, თვალ-ცრემლიანს სინანულსა, ღმობიერებისა და მადლობის ცრემლებ მოარეულს. მისი გულის სიღრმიდან მხოლოდ ეს ერთი ლოცვა აღმოხდებოდა: „უფალო, აუარებელი გულ მოწყალებისა გამო შენისა მო-

მაქციე მე, უგუნური ავაზაკობისაგან კეთილ-გონი-
ერად“.

ბევრმა ჟამმა, ბევრმა გაზაფხულმა და პასექის
დღესასწაულებმა განვლეს და ისევ მოვიდნენ აბრა-
ამისათვის იმ სახსოვარ დროიდან, როდესაც ის ბო-
როტ განზრახვით მოვიდა მონასტერში, მოჩვენებით
წარმოუდგა ზეციური დედოფალი, მის მიერ არჩეულ
ადგილზე ამფორა გადმოფარებული, და მთელი
გუნდი მის მიერ წამებულ ბერთა, რომლებიც თით-
ქას აღსდგნენ საფლავით მონასტრის დასახსნელად.
დადგა ისევ დიდი მარხვა და მეორე კვირიდან აბ-
რაამიც ჩავარდა ლოგინად. საბრალოს ძრიელ მოე-
რია წყალმაკი. მაგრა ამ მძიმე ავადმყოფობის
დროსაც, სანამ ოდნავ შესწევდა ძალ-ლონე, მოსამ-
სახურის შემწეობით, კანკალითა და ბორძიკით მაინც
დადიოდა ეკკლესიაში, რათა თვალი მაინც გადაე-
ვლო ღვთის შობლის ხატისათვის. დიდს ხუთშაბათს
ის ძრიელ ცუდად შეიქნა. ზეთი უკურთხეს, აზიარეს
კიდევაც, მაგრამ, როდესაც ილუმენი მივიდა სანახა-
ვად, ერთობ დავარდნილი, დაწყნარებული დახვდა.

— მართალი სთქვი, შენ, მამაო, რომ ღმერთს
ვერ ვასწავლით ხალხის ცხოვნებასო. დაიწყო ავად-
მყოფმა, როდესაც ილუმენმა ხელზე იმთხვია. — მე
უბადრუკს, მგონი მიწვევს თავისთან ვნების კვირის
ამ დღეებში, სჩანს ნებას მიიღოს მოგონიერებული
ავაზაკი. თუ ჩემი საქმეებით არა, მისი იმ დიდი საქ-
მის გულისათვის ნებას შემიწყალოს, რომლის ხსე-
ნებას ასრულებს ეკკლესია ამ დღეებში.

— ჩვენ, ყველანი, მეგობარო, თავისით კი არ
ვცხოვრდებით, არამედ იმისით. რომ მას არ გამო-
ვესყიდეთ თვისი მსხვერპლით, ცხოვნებაც არ გვე-
ღირსებოდა, უთხრა ილუმენმა.

— მე, მამაო, ერთი სათხოვარი მაქვს შენთან
უარსაც ნუ მეტყვი.

— სთქვი, რა გინდა!

— მე ჩვენს სასაფლაოზე ნუ დამკრძალავთ,
არამედ მონასტრის კიშკრების მახლობლად, გზის
პირას, და ჯვარზედ ასე წააწერინეთ: „აქ განისვენებს
კოდვილი ბერი აბრაამი, აღკვეცამდის მძვინვარე
მხეცი, უბადრუკი კაცის მკვლელი კიჩვი“. თუ სი-
ცოცხლეში არავისთვის კეთილი არ მიჩვენებია, ყვე-
ლას ჯოჯოხეთისკენ ვამგზავრებდი, დეე ჩემმა საფ-
ლაშმა იქნება უჩვენოს მაინც ვისმეს სხვა გზა.

აბრაამი იმ დღესვე მიიცვალა. მან წყნარად

განუტევა სული იმ დროს, როდესაც ეკკლესიაში
დაუჯდომელს ლოცულობდენ მეორე დღეს-საგრ-
ძნობელ სანახავს წარმოადგენდა მონასტრის ტაძარი,
თითქოს გოლგოთაზე მომხდარი სურათი გამეორე-
ბულაო: შვა გულ მაღალს, მოყვითლულ ცხედარზე
ესვენა გარდამოხსნის ხატი, ღვთაებრივი ცხედრის
ფეხთან შავად შეღებილ კუბოში ესვენა საბერო
მანტიით გასუდრული აბრაამი, ერის კაცობაში მრის-
ხანე ბელადი ავაზაკთა ბრბოისა კიჩვი.

მლ. დ. ჩხაიძე.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიან- ობრივ საჩქმუნობასა და კეთილ- ზნეობაზე


უფლის ხელთუქნელი ხატის გადასვენება ელე-
სიდან კონსტანტინეპოლში.

საეკკლესიო ისტორიის ძველი მწერალი ევსევი,
ეპისკოპოსი კესარიისა, რომელიც IV საუკუნეში
ცხოვრებდა, მოგვითხრობს სასწაულ მომქმედ ხელ-
უქნელ ხატის შესახებ, რომელიც უფალმა იესო
ქრისტემ გაუგზავნა მთავარს ავგარიოს. ეკკლესიამ ამ
შემთხვევის მოსახსენებლად დააწესა ილდესასწაულონ
16 აგვისტოს მაცხოვრის ხელთუქნელი ხატის ედე-
სიდან კონსტანტინეპოლში გადასვენება.

იმ დროს, როცა იესო ქრისტე ქადაგებდა იუ-
დელების ქვეყანაში, სირიის ქალაქ ედესში იყო
მთავრად ავგარიოსი. იგი სასტიკი ავადმყოფი შეიქნა;
მთელი მისი სხეული დაიფარა კეთროვნებით, და
ექიმებმა ვერავითარი საშუალება ვერ გამოიხსნეს,
რომ ავგარიოსი მოერჩინათ. მთავარს გაგონილი
ჰქონდა ქრისტეს სასწაულები, რომელსაც იგი შვე-
ბოდა, და ამიტომ მოისურვა ენახა უფალი; იგი
დაიმედებული იყო, რომ ქრისტესაგან მიიღებდა
კურნებას; მაგრამ ავადმყოფობისა გამო ვერ შეიძლო
მგზავრობა და ამიტომ მან გადასწყვიტა ქრისტესადმი
შემდეგი წერილის მიწერა:

„ავგარი, თავადი ედესისა, მოკითხვას მოგახსენებს იესოს, კეთილ მაცხოვარს, რომელიც გამოცხადდი იერუსალიმის მხარეში.

მე მესმა შენი ამბავი და შენი სასწაულებრივი საქმეები; მესმა, რომ შენ უწამლოდ ჰკურნებ სნეულებას, ბრძმებს ანიჭებ მხედველობას, კოჭლებს სვლას, ჰკურნებ კეთროვანთა, და კაცთაგან გამოგყავს ბოროტი სულნი; მესმის, რომ შენ ერთი შენი სიტყვით ანიჭებ ძალას განრღვევულთ და აღადგენ მკვდართა. მესმა რა ყოველივე ესეები, მე გადავსწყვიტე, რომ შენ ან ღმერთი ხარ, მოსული ზეციდან, ანუ ძე ღვთისა; და ამიტომ მორჩილად გევედრები შენ, მიიღო შრომა და მოხვიდე ჩემთან და განკურნო უკურნებელი სენი, რომლითაც მე აგერ რამდენიმე წელიწადია შეპყრობილი ვარ. მე კიდევ მესმა, რომ იუდეელებს სძულხარ შენ და უნდათ რაიმე ბოროტი შეგამთხვიონ. ჩემი ქალაქი თუმცა დიდი არ არის, მაგრამ შევნიერი და ყოლიფრად შემკობილია. მოდი ჩემთან და იცხოვრე ჩემს ქალაქში“.



ხელთუქნელი ხატი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ეს წერილი ავგარმა გაატანა ურიების ქვეყანაში მხატვარს, სახელად ანანიას, რომელსაც დაავალა ქრისტეს სახის დახატვა, თუ თვითონ ქრისტე არ წამოვიდოდა მასთან. ანანია მივიდა იუდეელების ქვეყანაში, მაგრამ ძლიერ გაუჭირდა ქრისტესთან მისვლა, რადგან უფალს მუდამ მრავალი ხალხი ეხვია გარს. ერთხელ ანანია შედგა მალლობ ადგილზე, და იქიდან დაუკვირდა ქრისტეს სახეს და ცდილობდა დაეხატა მისი სახე ეტრატზე. იმან ბევრი იშრომა, მაგრამ შრომამ უქმად ჩაუარა: მან ვერაფერი ღონით ვერ გამოხატა ზეციური მადლით მოვლვარე პირის სახე იესო ქრისტესი.

უფალმა იესო ქრისტემ უკვე უწყობდა ანანიას სურვილი და თავისთან დაუძახა, უწოდა მას მისი საკუთარი სახელი. ქრისტემ მოთხოვნა ანანიას ავგარის წერილი და შემდეგ მოითხოვა წყალი და პირსახოცი, პირი დაიბანა, შეიხოცა პირი ოთხად შეეცვილი პირსახოცით და ეს პირსახოცი მისცა განცვიფრებულ ანანიას. ტილოზე დარჩენილიყო ქრისტეს პირისახის გამოხატულება. უფალმა უბრძანა ანანიას, რომ მას მიეტანა ავგარისათვის ეს ხელთუქნელი ნახატი, და ამასთან მაცხოვარმა გაატანა ანანიას შემდეგი შინაარსის წერილი:

„ნეტარ ხარ შენ, ავგარიოს, რომ არ გიხილავარ მე, მაგრამ გრწამვარ, ვინაიდან წერილ არს, რომ რომელნიც მიხილავენ მე, არ მიწამებენ, ხოლო რომელთაც არ უხილავარ, მიწამებენ და დაიმკვიდრებენ საუკუნო ცხოვრებას. შენ მთხოვე მე, მოვიდე შენთან; მაგრამ მე უნდა შევასრულო იგი, რისათვისაც გამოგზავნილ ვარ და როცა შევასრულებ, ისევ უნდა წავიდე მასთან, ვინც გამოგზავნა—ზეციურ მამასთან; როცა ავმალდები მასთან, მაშინ მოვივლენ შენ ერთ ჩემ მოწაფეთაგანს, რომელიც განგკურნებს შენ სრულიად და მოგანიჭებს შენ სიცოცხლეს და შენთან ერთად სხვებსაც“.

ანანია მივიდა ავგარისთან, რომელმაც დიდის სიხარულით მიიღო წერილი და ხელთ-უქნელი ხატი მაცხოვრისა, და მაშინვე იგრძნო, რომ მას ავადმყოფობა შეუმსუბუქდა. მაგრამ კეთროვნების ნიშნები იმ დრომდე აჩდა მას პირის სახეზე, ვიდრემდის არ მივიდა მასთან აღთქმული მოწაფე ქრისტესი. უფლის ამალლების შემდეგ, მოციქული თადეოზი მივიდა ედესში, სრულიად განკურნა ავგარიოსი და კიდევ მონათლა იგი.

ავგარიოსი თავისი სიკვდილის უკანასკნელ დღემდე დიდის კრძალულებით ეპყრობოდა ქრისტე მაცხოვრის ხელთ-უქნელ ხატს. ამ ნახატის ქვეშ მან ოქროს ასოებით დააწერა: «იესო ქრისტე, და ნუ შერცხვენების ყოველი შენი მორწმუნე“. შემდეგ ეს ტილო გადააკრა დაულობელი ხის ფიქარზე და ჩამოკიდა ქალაქის ალაყათის კარებზე. ამ ადგილზე იმ დრომდე იდგა კერბთაყვანის მცემელთა ერთი ღმერთის კერპი. ყველას, ვინც კი გაივლიდა ამ კარებთან, თაყვანი უნდა ეცა ხატისათვის. ამას ასრულებდენ ავგარიოსის, მისი შვილის და

შვილი შვილის დრომდე; მაგრამ ბოლოს ერთი მისი შვილის შვილი მიეცა კერბთაყვანისმცემლობას და მან განიზრახა ამ საღმრთო ნახატის კარებიდან ჩამოგდება და ხელახლა კერპის დადგმა. მაგრამ სანამ ის ამას მოიქმედებდა, ედესის ეპისკოპოსმა იხილა ჩვენება. ეპისკოპოსი ადგა ღამით, წავიდა ალასუფის კარებთან, ანთო კანდელი ხატის წინაშე და შემდეგ მიაფარა მას ქვის ფიცარი და ანგურით ჩაკირა. მთავარს, რადგან იგი ამ ნახატს ვერ ხედავდა, დაავიწყდა ქრისტეს ხატი; ედესის მცხოვრებთაც დაივიწყეს კეთილ ცხოვრება; და დიდხანს არავის არ გახსენებია ეს სასწაულთ-მომქმედი ხატი. ის ადგილიც კი დაავიწყდათ, სადაც ეს ხატი ესვენა.

რამდენიმე საუკუნემ განვლო. ედესის მკვიდრთა შორის დიდხანს აყო ზებირ-გადმოცემა, რომ მათ ქალაქს ვერას დროს ვერ დაიფლობს მტერიო; მაგრამ, მათ გასაოცებლად, 545 წელს, სპარსეთის მეფე ხოზროიმ აუარებელი ჯარი შემოარტყა გარს ედესს. ქალაქის მკვიდრნი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, რადგან იმედი არა ჰქონდათ ქალაქის დაფარვისა. ამ დროს ეპისკოპოსმა ევლაკიმ იხილა სასწაულებრივი გამოცხადება. მას გამოეცხადა ზეციური მადლით გაბრწყინებული დედოფალი, რომელმაც უჩვენა ეპისკოპოსს ის ადგილი, სადაც იყო ხატი ქრისტესი, უბრძანა მათ გამოეჩინა ეს ხატი. ევლაკიმ აღასრულა ბრძანება. გამოტეხეს ანგურის კედელი და ნახეს ქვის ფიცარი და მის უკან ხელთუქნელი ხატი, რომლის წინ კანდელი კიდევ ანთებული იყო; ქვის ფიცარზე, რომელიც ეფარა ხატს, დახატულიყო ღვთაებრივი სახე. ეპისკოპოსმა და ხალხმა დიდის სიხარულით მადლობა შესწირეს უფალს. მათ აასვენეს წმიდა ხატი, შემოუარეს გარეთ ქალაქს; ყველას სასიხარულოდ, მტერმა თავი მიანება ქალაქს. ამ დღიდან ედესის მცხოვრებნი დიდის კრძალულებით თაყვანსა სცემდნენ ამ ხელთ-უქნელს ხატს. ამ ხატის დიდება შორს გაითქვა, და მორწმუნენი შორეული ქვეყნებიდან მოდიოდნენ, რათა თაყვანი ეცათ ამ ხატისათვის.

ამის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ ედესი და მთელი მახლობელი არე-მარე ხელში ჩაუარდათ ურწმუნოებს; მაგრამ ხელთ-უქნელი ხატის თაყვანის საცემლად მაინც ბევრი მლოცველები მოდიოდნენ ამ ქალაქში. ქრისტიანები დიდად სწუხდნენ, რომ ეს წმიდა ხატი ურწმუნოთა ხელში იყო და

მეათე საუკუნეში საბერძნეთის იმპერატორებმა კონსტანტინე და რომანოზმა დიდი სასყიდელი შეაძლიეს ამ ხატის გამოსასყიდათ ედესის მფლობელთ. ეს უკანასკნელნი დიდ ხანს არ თანხმდებოდნენ; მაგრამ ბოლოს მისცეს ხატი, ნაცვლად საბერძნეთის იმპერატორებისაგან განათავისუფლეს ორასი სარაცინელი ტყვე, მიიღეს 12,000 ვერცხლი და პირობა ჩამოართვეს საბერძნეთის იმპერატორებს, რომ იგინი არას დროს არ გაილაშქრებდნენ ედესის წინააღმდეგ. 944 წელში, 16 აგვისტოს, ხელთ-უქნელი ხატი დიდის ამბით გადაიტანეს კონსტანტინეპოლში.

დღეს ეს ხატი აღარ არის კონსტანტინეპოლში, და არც არავინ იცის ნამდვილად, რა იქნა იგი. ერთი ზებირ გადმოცემა მოგვითხრობს, რომ მე-XII საუკუნეში ის წაიღეს კონსტანტინეპოლიდან და ხოლმადით გააგზავნეს ვენეციაში; მეორე ზებირ-გადმოცემა, რომ ეს ხატი აჩუქეს გენუელებსო ნაცვლად იმ შემწეობისა, რომელიც მათ აღმოუჩინეს ბერძნებს თათრების წინააღმდეგ; კიდევ მესამე ზებირ-გადმოცემა, რომ ის ხელთ-უქნელი ხატი ვითომ საქართველოშია გადმოტანილი.

სხვა მოქალაქისა სამოქალაქო.

საუზარო მცხრა.

მ რ ო მ ა.

რასა ჰსდევით თქვენ აქა დღე-ყოველ უქმად (მათ. 20, 6).

ღმერთმა დაგვამკვიდრა ჩვენ ქვეყანაზე, რათა ვიშრომოთ და ვიზრუნოთ სულისათვის; აქედან ჩანს, რომ ამ ქვეყანაზე მცხოვრები კაცი, რაც უნდა იგი საქმიანი, შრომის მოყვარე და მზრუნველი იყოს, უქმია იგი, თუ მას თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად თავისი სულის ცხოვრების საქმე არ მიანჩნია. მამასადადამე ყოველივე ჩემი შრომა უმნიშვნელოა, თუ მე არ ვზრუნავ ჩემი სულის ცხოვრებისათვის. ეს თქვენც იცით, თანხმანიც ხართ და თქვენც ამასვე ამბობთ ხოლმე. რა განზრახვით მოვიქცევი თქვენდამი დღეს წაკითხული სახარების სიტყვებით? განა

იმიტომ, რომ თქვენ დაუტევოთ თქვენი ქვეყნიური საქმეები და მარტო ცხოვრებაზე იფიქროთ? არა, მე მსურს გესაუბროთ თქვენ შრომაზე, შეგატყობინოთ შრომის საჭიროება, როგორც ერთი საიმედო საშუალებისა ჩვენი გაუმჯობესებისათვის; როცა ვშრომობთ, ჩვენ ვასრულებთ ღვთის ნებას, სარგებლობას ვაძლევთ მოყვასთ, ავცდებით უსაქმობას, რომელიც, როგორც თქვენც უწყით, წყაროა ყოველივე ბოროტებისა.

ეხლა მოისმინეთ ჩემი აზრი, რომელიც თქვენთვის უსარგებლოდ არ დარჩება, თუ კარგად დაუკვირდებით მას. შრომა არის შედეგი და სასჯელი ცოდვისა; როცა ღმერთმა დასაჯა ადამი და ევა, რქვა მათ: «ოფლითა თქვენითა სჭამდეთ პურსა»-ო; მაშასადამე უნდა ვიშრომოთ და თან მოვიწინაოთ ჩვენი ცოდვები. შრომა არის ვალდებულება, რომელსაც გვავალებს ჩვენ კანონი ერთად ცხოვრებისა. მაშასადამე უნდა ვიშრომოთ მოყვასთა სიყვარულობისა გამო. შრომა არის ჩვენი გამკურნებელი ყოველივე ბიწიერებისაგან; ამიტომ უნდა ვიშრომოთ, თუ ჩვენი თავისათვის სიკეთე გვსურს.

ზემოთა ვთქვით, რომ შრომა, რომელიც ღმერთმა დაგვიდგინა ჩვენ, არის შედეგი და სასჯელი ცოდვისა-თქო. «უბედურო ადამო! რა ჰქენი შენი? მე მოვამზადე შენთვის შენიერი ადგილი, საუცხოვო საცხოვრებელი, ქვეყნიური სამოთხე; შენ არ გამოგონე და ყოველივე ესეები უარჰყავი და დაჰკარგე. ქვეყანა, რომელიც მე ვაკურთხე, წყეულ არს შენი ცოდვისათვის, იგი აღმოგიცენებს ეკალს შენ დასასჯელად და შენი მოთმინების გამოსაცდელად; თუ გინდა იგემო მიწის ნაყოფი, ამისათვის შენ უნდა იშრომო მთელი შენი სიცოცხლე; შენი შრომა განუწყვეტელი იქნება გაზაფხულიდგან შემოდგომამდე და შემოდგომიდან გაზაფხულამდე. ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა, ვიდრემდის არ მიიქცევი მიწად, რომლიდანაც ხარ შექმნილი» (მექმ. 3,19).

აი, ძმანო ჩემო საყვარელო, ღვთის მსჯავრი, რომელიც წარმოთქმული იყო ქვეყანასა და ყოველთა ცოდვილთა ზედა, რომელთაც უნდა ეცხოვრათ ქვეყანაზე. ამ დღიდან ქვეყანა წარმოგვიდგენს ჩვენ შრომას, მოუსვენებლობას, წარმოგვიდგენს ადგილს, სადაც უგზო-უკვლოდ უნდა ვიხეტიალოთ და მუდამ ტირილსა და ვაებაში უნდა ვატაროთ ჩვენი სიცოცხლე. ყოველივე ქმნილება, რომელიც შენგან

შექმნილ არს, ღმერთო ჩემო, ჩვენ სამსახურებლად და ჩვენი ცხოვრების სიტკბოებისათვის, შექმნილია შენი მართლ მსაჯულების იარაღად, და როცა შენ გესურვება, ხმარობ მათ, რათა გაავრცელო ქვეყანაზე შენი, არეულობა და უბედურობა.

როცა გსურს, შენ მოგვიღწეო ხოლმე აღმოხრებელ ქარს, რომელიც აფუტებს ყოველივე ნაყოფს, ძირიან-ფესვიანად თხრის ხეებს, გვიმგვრევს სახლებს, ზღვაზე ახდენს ღელვას, რომელიც მრავალ ხოლმადებს იმსხვერპლებს ხოლმე; ხან ზეციდან მოგვიღწეო ხოლმე ძლიერ წვიმას, რომლისაგან დიდდებიან მდინარეები, გადმოდიან ნაპირებიდან, წალეკენ ხოლმე ნათეს მინდვრებს, სადაც რჩება უსარგებლო სილა, წყალი ხშირად ვარდება სახლებში და იტაცებს კაცებს და ცხოველებს. ხან შენი ბძანებით მზის პაპანაქება ახმობს ყოველივე ნამუშევარს; ხან სეტყვა, ასრულებს რა შენს ნებას, შეუბრალებლათ ანადგურებს ხოლმე ყოველივეს, ხან მოგვიღწეო ხოლმე სხვა-და-სხვა მწერთა, რომელნიც სისწრაფით აოხრებენ ყოველივე ნაყოფს.

რა უნდა ვთქვათ ჩვენ იმ ამაოხრებელი ჩხუბების შესახებ, რომლების წყალობით იმ დღიდან, რაც ქვეყანაზე ცხოვრებენ ცოდვილნი, არა ერთ გზის გაჯღენთილა მიწა მათი სისხლით და გააოხიერებულა მათი ხორცი? რა უნდა ვთქვათ იმ გადამდებ სნეულებათა შესახებ, რომელნიც ხან გამოშვებით აოხრებ ჩვენს მხარეებს და ყველგან შეუბრალებლად ხოცავს ხალხს? რა უნდა ვთქვათ იმ საშინელი მიწისძვრის შესახებ, რომელიც, ეს ერთი ხანია, ძლიერ გახშირდა და რომელიც, თითქმის, მომასწავებელია ქვეყნის დანგრევისა და რომლის შესახებ საღმრთო წერილში ნათქვამია, რომ მიწისძვრა ნიშანია ქვეყნის დანგრევისო? ნუ თუ არ უნდა ვთქვათ, დიდებულა ღმერთო! რომ შენი რისხვა უწევს მიწის გულამდის, იქ აანთებს მიწის გულში დამალულ ზოგიერთ ნივთიერებას, და აქედან მოგვიღწეოს ქვეყანაზე ძლიერ ძვრას, რომელიც ანგრევს მთელ ქალაქებს და სოფლებს.

აი, ძმანო ჩემო, თვალ-საჩინო ნიშნები და საშინელი მოქმედებანი წყევისა, რომელიც ღმერთმა წარმოსთქვა ქვეყნის შესახებ, როცა პირველმა კაცმა შეცოდა. ამ დღიდან ქვეყანა წარმოგვიდგენს ჩვენ კაცთა უბედურების სანახაობას, რომელიც ერთი საუკუნიდან მეორეში გადადის და ერთი ნათესავი-

დან შემდეგში? მიწა მხოლოდ მშრომელს აძლევს ნაყოფს, და იმასაც ღიდის გაჭირვებით; მიწაზე იზრდება ეკალი და სხვა მრავალი უსარგებლო მცენარეობა, არა მათთვის მხოლოდ, რომელნიც მუშაობენ მიწას, არამედ ყველა ცოდვილთათვის, რომელნიც კი ცხოვრებენ ამ ქვეყანაზე.

მართლაც, ჩემო ძმანო საყვარელო, რა მდგომარეობაშია ც უნდა ვიყოთ ღვთის განგებულებით, ჩვენ ყველგან ვგრძნობთ ამ ეკალს. ხელოვანი ჰპოებს მას თავის ხელოვნებაში, ვაჭარი ვაჭრობაში, ოჯახის უფროსი თავის სახლში, სამხედრო კაცი თავის მოვალეობაში, მართლ-მსაჯულების მოსამსახურე კანონების შესწავლაში, მწყემსი თავისი მოვალეობის აღსრულებაში, დიდი პირნი თავიანთ დიდებულებაში, მდიდრები თავიანთ სიმდიდრეში. თვალი გადაავლეთ ყოველ მდგომარეობას ხელმწიფიდან დაწყებული უბრალო ქვეშევრდომამდე და მიჩვენეთ მე ისეთი ადგილი, თანამდებობა, წოდება, ხელობა, ერთი სიტყვით, ისეთი მდგომარეობა, სადაც ჩვენ არაფერი გვაწუხებდეს და ათას გვარ უსიამოვნებას არ ვხვდებოდეთ წინ? ავიღოთ, თუ გინდა, ვაჭრობა. რამდენი უსიამოვნება, შრომა, ღრე და ღამ მოგზაურობა ცუდი ამინდების დროს ხვდება ვაჭარს? სამხედრო სამსახურში რაებს არ შეხვდები? იქ უნდა მოითმინო პაპანაქება, სიცივე, შიმშილი, წყურვილი, ყოველივე ნაკლებულობა, ყოველივე უსიამოვნება, და ამავს გარდა მუდამ უნდა ელოდე ათას გვარ საშიშროებას.

მაგრამ იმათი ცხოვრებაც კი, რომელთა მდგომარეობა ერთი შეხედვით უფრო სასიამოვნოდ მიგვაჩნია, თავისუფალი არ არის შეწუხებისა და ათას გვარ უსიამოვნებათაგან. ავიღოთ, მაგალითად, მსაჯული, რომელიც ზრუნავს მართლ-მსაჯულების დაცვას, ეკლესიის მოსამსახურე, რომელიც ზრუნავს მისდამი წმინტებული სამრევლოის სწავლა-განათლების შესახებ, წარჩინებული პირი, რომელიც მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს მმართველ-განგების საქმეში, რა შრომა და შეწუხება არ ხვდებათ მათ? რამდენი რამეები არ უნდა იცოდნენ მათ, რამდენი წიგნები არ უნდა წაიკითხონ, რამდენი საეჭვო კითხვები უნდა განმარტონ და მთელი ღამეები უძილოთ გაატარონ? რამდენი კაცის ხასიათი უნდა შეისწავლონ, რამდენი სხვა-და-სხვა მოთხოვნილება ჯეროვანად უნდა დააკმაყოფილონ? მასთან რამდენი

უსაფუძვლო საყვედური უნდა მოისმინონ და აიტანონ? მერწმუნეთ მე, ჩემო ძმებო, რომ მომეტებული კუროს თავი და ეკალი უფრო დიდ ადგილებში არსებობს; იმათ, რომელთაც სისრულით უნდათ აღასრულონ თავიანთი მოვალეობა, ძლიერ კარგად უწყიან ეს კუროს თავი და უფრო კარგადაც გრძნობენ; შეიძლება მათში ბევრი ისეთებიცაა, რომელნიც ზოგიერთ შემთხვევებში შენატრიან კიდევ მიწის მუშას და დღიურ მუშას, თვითონ მეფეები არ არიან თავისუფალი კუროს თავისაგან; ეს კუროს თავი ხარობს მათ სასახლეში და ტახტზედაც. სოლომონს, რომელსაც მოყირჭებული ჰქონდა ყოველ-გვარი სიამოვნება და სიმდიდრე, მუდამ წინ ხვდებოდა მწუხარება და შრომა.

ვინაიდან მე დატყვევებული ვარ ქვეყანაზე როგორც დამნაშავე და თავ-ზარ დაცემული წყევლისაგან, მე სრული მორჩილებით თავს ვიხრი, ღმერთო ჩემო, იმ უღლის წინაშე, რომელიც შენ დაადევინა ყოველ კაცს. ყოველივე წვალება და შრომა, რომელსაც მე ვეწევი და ყოველ გვარი უბედურება, რაიცა მე შემემთხვევის, არის შედეგი პირველ კაცთა ცოდვისა. ამიტომ მე ვიშრომებ, რომ ამით მივიღო მითხვევა ჩემი საკუთარი ცოდვებისა. და ვიშრომებ არა მარტო მისთვის, რომ მოვიპოვო საზრდო არსებობისათვის. ასე ხომ კერპთ-თაყვანის მცემლებიც შრომობენ, რომელთაც არ უწყიან ღმერთი, მაცხოვარი ჩემი. ამ შემთხვევაში ჩემი შრომა დაკარგული იქნებოდა და მხოლოდ ამ ქვეყანაზე გამომადგებოდა მე იგი. მე ვიშრომებ არა იმტომ, რომ სიმდიდრე შევიძინო და ამით დავიკმაყოფილო ჩემი ანგარების მოყვარება, არა იმტომ, რომ დავაკმაყოფილო ჩემი თავ-მოყვარეობა და მოვიპოვო პატივისცემა, არა იმტომ, რომ მოვიპოვო ღიდება და დავიკმაყოფილო ჩემი ამპარტანება. თუ ასე მოვიქცევი, მაშინ ჩემი შრომა მონანების მაგიერ შეიქნება ახალ ცოდვად. არამედ მე ვიშრომებ იმტომ, ვინაიდან შენ ასე გსურს, ვინაიდან შენ ხარ ღმერთი მართლ-მსაჯული! შენ დამსაჯე მე, რათა მთელს ჩემს სიცოცხლეში ოფლითა ჩემითა ვსჯამდე პურსა ჩემსა ჩემი შრომის უმთავრეს მიზნად იქნება შენი წმიდანების აღსრულება. რა გაჭირებაც უნდა შემხვდეს მე დავითმენ, ადვილად ავიტან მათ შენდამი სიყვარულისა გამო და იმტომ კიდევ, რომ მე ცოდვილი ვარ.

აი, ჩემო ძმანო საყვარელო, უპირველესი მიზეზი, რომელიც გვაძალავს ჩვენ შრომას. ჩვენ დაგვიდგინა ღმერთმა შრომა ჩვენი ცოდვებისა გამო; მაგრამ ჩვენ უნდა ვიშრომოთ აგრეთვე ჩვენ მოყვასთა და საზოგადოებისათვის, რომელთა წევრებადაც ვითვლებით. სიმართლე მოითხოვს, რომ ჩვენ ვიშრომოთ სხვებისათვის, ვინაიდან სხვებიც ჩვენთვის შრომობენ.

„რამეთუ ჩვენ ვართ ურთი ერთ არს ასოებ“, ამბობს წმ. მოციქული პავლე, ესე იგი ჩვერ ერთმანერთის ასოები ვართ (ეფეს. 4, 25). როგორც კაცის სხეულის ასოები ერთი ერთმანერთს ემსახურებიან, ერთი ერთმანერთს ასაზრდოებენ, მზგავსად ამისა არის ქვეყანაზე სხვა-და-სხვა მდგობარეობანი, და ყველა ესეები ერთმანერთისათვის საჭირონი არიან. უამისობა არც კი შეიძლება. თუ ყოველი კაცი მიწის მუშაობას მოჰკიდებდა ხელს, მაშინ მსაჯული ვინა იქნებოდა? ვინ დაგვიფარავდა ჩვენ მტერთაგან. ვინ აღასრულებდა მღვდელ-მოქმედებას და სხვაებს?

გხლა გთხოვთ დაუკვირდეთ, თუ თითოეული წოდება როგორ ზრუნავს სხვის სასარგებლოდ. მსაჯული სდებს განაჩენს თავისთვის კი არა, არამედ სხვისათვის. მხედარი თავისთვის კი არ იმობს; მღვდელი თავისთვის კი არ მღვდელ-მოქმედობს; ვაჭარი, მიწის მუშა, მებაღე, ხელოვანი, დღიური მუშა, სუყველანი ერთი ერთმანერთისათვის ზრუნავენ; ერთი სიტყვით რა ადგილიც უნდა გეპიროსთ და რა ხელობას ადგეთ, თქვენ შეგიძლიათ თქვათ: «მე ვიშრომებ მრავალ პირთათვის, რომელნიც ჩემთვის შრომობენ». ასეთი მსჯელობა ნერგავს ჩვენში სიყვარულს შრომისადმი და არცხვენს უსაქმობას!

მართლაც, რისი მსგავსია უსაქმო კაცი? იგი ემზგავსება სხეულზე ამოსულ ხორცმეტებს, რომელნიც საზრდოობენ სისხლით და მასაზრდოებელი წვენიით ისე, როგორც თვით სასარგებლო ასოები სხეულისა; ესენი არიან მამალი ფუტკრები, რომელნიც სჭამენ თათლს: ესეები არიან უფარგისი ბალახი, რომელიც სწოვს მიწის წვენს, რომელიც დანიშნულია უფრო სასარგებლო და საჭირო მცენარეთათვის; უსაქმური არიან უმადური არსებანი, რომელნიც არაფერს არ აკეთებენ სხვებისათვის მაშინ, როცა სხვები კი მათთვის შრომობენ; ესენი არიან უსარგებლო ხე, რომელიც მარტო იმისათვის არის გამო-

სადეგი, რომ ცეცხლში ჩაადონ და დაწვან; უსაქმური არიან მსგავსნი გველ-ვეშაბთა, რომელთაც არ უნდა მიიღონ საქმელი, როგორც წმ. მოციქული პავლეც ამბობს, და რომელნიც არც მისი ღირსნი არიან, რომ იცხოვრონ ქვეყანაზე, რადგან არ შრომობენ.

თუ ჩვენში არის ავსიტყვაობა, კორები და უზრდელი სიტყვა-პასუხი, ყოველივე ესეები წარმოადგებიან უსაქმობისა გამო; კაცს, რომელიც ერთგულად მუშაობს და მუდამ გართულია თავის საქმეებში, შრომის მოყვარე ქალს, რომელიც დილიდან საღამომდე ზრუნავს თავის შვილებსა და ოჯახობაზე, გასართობათ არ მიაჩნიათ თავიანთი მეზობლების ლანძღვა-გინება, და რაც მათ არ შეეხება, იმას არ იძივენ. თუ ვინმე მიჩვეულია სიმთვრალეს, ეს შედეგია უსაქმობისა, ვისაც შრომა უყვარს, ის დროს და ფულს არ დახარჯავს სამიკიტნოებში. თუ მეზობელთა შორის სუფევს რაიმე უკმაყოფილება, ეს უსათუოდ უსაქმობის მიზეზია. იმ ოჯახში, სადაც ყველანი შრომობენ, ყოველთვის მოიპოება საზრდო. უსაქმობას თან დასდევს სიღარიბე, ხოლო სიღარიბე ჰბადავს უსიამოვნებას და ჩხუბს. შეილო ჩემო საყვარელო! აი რას გეტყვი შენ: როგორც კი შენ ხელს აიღებ მეცადინეობაზე, უსათუოდ მიეცემი გარყვნილ ცხოვრებას. შრომა სპობს ცუდ აზროვნებას, სპობს ცუდ გულის თქმათა, ავარჯიშებს სულს და ათვინიერებს სხეულს, ცუდი აზრი თავში აზრადაც არ მოგივა, თუ შენ გართული ხარ სასარგებლო საქმეებში.

გინდათ მაგალითები მოგიყვანოთ? იკითხეთ საღმრთო წერილი. ვიდრემდის სამსონი გართული იყო მტრებთან ბრძოლაში, იმას აქენდა ძალა და დიდება; როცა კი დაიძინებდა დედაკაცთა მახლობლად, კარგავდა თავის ძალას, ქველობას და დიდებას. დავითი რატომ ჩავარდა განსაცდელში? უსაქმობისა გამო. როცა ჯარს უძღვის წინ, იგი უბიწო, მორჩილი და მართლ-მსაჯულია. როცა კი უსაქმოდ რჩება თავის სასახლეში, იგი მაშინვე ხდება მემრუშე და კაცის მკვლელი. ვიდრემდის სოლომონი გართულია ტაძრის აშენების საქმეში, იგი ყველა მეფეებზე უბრძნესია, მაგრამ როცა მორჩა ამ საქმეს, იმან დაჰკარგა ჰკუა და სიბრძნე.

უქმობის მოყვარული კაცი ყოველ შემთხვევაში უსარგებლოა; უნდა ყოველივე იხილოს და ყო-

ველივე გაიგონოს; ყოლიფერს ტყობილობს; ისეთ საგნებს იძიებს, რომელიც მისთვის საჭირონი არ არიან და არც შეეხებიან მას.

უსაქმო კაცები მეტად საზარელნი და მობეზარნი არიან; ივინი დაგიწყებენ ლაპარაკს სულ უბრალო საგნებზე, მოჰყვებიან მეზობლების ძვირს, მათ არ გამოეპარებათ ახალ-ახალი ამბები და ხშირად თვითონაც იგონებენ სხვა-და-სხვა ამბებს. უსაქმო კაცები მეტისმეტი ცუდის მოლაპარაკე, ხარბი და ცრუები არიან. თუ უქმად მყოფი ღარიბია, მაშინ იგი მტაცებლობს; რასაკვირველია, ვისაც არაფერი არ გააჩნია და არც უნდა იშრომოს, იმან სხვისი ნაშრომ-ნაღვაწით უნდა იცხოვროს: თუ იგი მდიდარია, მისი ხელი ცუდი საქმეების მეტს არას აკეთებს. იგი დიდიდან საღამომდე დახეტიალობს ცუდ საზოგადოებაში და რისთვის, თვითონაც არ იცის; როცა დილით ადგება, არ იცის, სად წავიდეს, ან რა გააკეთოს. მისი გონება მუდამ ცუდი და ფუჭი აზრით არის გართული; მისი გული ავსილია სხვა-და-სხვა ცუდი სურვილებით და ლტოლვილებით. ერთი სიტყვით უქმი კაცის მთელი აგებულება წარმოგვიდგენს გაფუჭებულ წყაროს, საიდანაც წარმოდინდების ცუდი აზრი, სულის დამღუბველნი სურვილნი და მისწრაფებანი.

აი ასეთები არიან უსაქმურნი და ვეცდროთ უფალს, რომ ჩვენგან არავინ მიემსგავსოს მათ.

ამ სახით ნუ მიეცემით უქმობას, იშრომეთ დიდიდან საღამომდე, რომ ბოროტმა სულმა, რომელიც მუდამ თან სდევს თქვენ სულს, არ გიხილოს თქვენ უქმად, არამედ მუდამ გართული კეთილსა და პატიოსნურ საქმეებში. ჩვენ ვართ ძენი ცოდვილი წინაპრისა ღ თვითონაც ცოდვილნი: შრომა არის სულიერი სასჯელი, რომელიც ღვთისგან ყოველ კაცს ვალად ადევს; ამიტომ ვიშრომოთ, რომ მოვიწინაოთ ჩვენი ცოდვები. ჩვენ ვართ მოქალაქენი და ერთმანერთის წევრნი: ამიტომ ვიშრომოთ, რომ სასარგებლონი ვიქნეთ საზოგადოებისათვის, რომლისაგან ვიღებთ ყოველ გვარ შემწეობას; ვიშრომოთ ერთმანერთის სიყვარულობისა და მადლობისა გამო. ჩვენ ბუნებით მიღრეკილი ვართ ბოროტისადმი; ვიმეცადინოთ, რომ ღვთისმადლის შემწეობით და დაუღალავი შრომით ვსძლიოთ ბიწიერ ვნებათა. ბიწიერება იბადება, იზრდება და ძლიერდება უქმად ყოფნის დროს მსგავსად იმისა, როგორც დამბალ სხეულში ჩნდება მატლი.

დიდებულო ღმერთო! შენ, რომელმაც გააჩინე ყოველი წოდება და მდგომარეობანი და თვითყელს ჩვენგანს დაუნიშნე საქმე, განანათლე სული ჩვენი საუკუნო სიბრძნის ნათელით, რომელიც თან შობილი აქვს ყველა შენ ქმნილებათ, რათა შენმა ნა-

თელმა განანათლოს ყოველი ჩვენი შრომა და დაემკვიდროს ჩვენ შორის და წინამძღვრობდეს ჩვენს აზრს, განზრახვას და ყოველი ჩვენი მოქმედება. წარავლინოს შენ სადიდებლად, სასარგებლოდ ძმათა ჩვენთა და საცხოვნებლად სულთა ჩვენთა. როცა ჩვენს შრომას მიზნად ექნება სიყვარული ღვთისა, მოძმეთა და თავისი სულის ცხოვნება, მაშინ მხოლოდ იმედი უნდა გვქონდეს, რომ სიკვდილის ჟამს შენი მოწყალებით მივიღებთ სასყიდლოს ჩვენის შრომისათვის და განვისვენებთ შენთან საუკუნო სასუფეველსა შინა. ამინ.

როდესაც აღდგომა არის აპრილის 18-ს, მაშინ იქნება:

თვე	რიცხვი.	ყოვ. წმ. კვირიაკე.	ხმა.	საცისკ. საზარება.
სექტემბრის	8	იღ	ე	ბ
—	იღ	იე	ვ	ღ
—	კა	ივ	ზ	ე
—	კვ	იზ	ც	ვ
ოქტომბრის	ე	იც	ა	ზ
—	იზ	ით	ბ	ც
—	ით	კ	გ	თ
—	კვ	კა	ღ	ი
ნოემბრის	ბ	კბ	ე	ია
—	თ	კგ	ვ	ა
—	ივ	კღ	ზ	ბ
—	კვ	კე	ც	გ
—	ვ	კვ	ა	ღ
დეკემბრის	ზ	კზ	ბ	ე
—	იღ	კც	გ	ვ
—	კა	კთ	ღ	ზ
—	კვ	კზ	ე	ც
იანვრის	ღ	კა	ვ	თ
—	ია	კბ	გ	ი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: საჭიროა რამე ვიფიქროთ შეილებების აღზრდაზე.—ჩინელი ქალი ოჯახში და საზოგადოებაში.—ავაზაკი კიჩეი.

სწავლა და მაცნეობა ქრისტიანობაში სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე: უფლის ხელთუქნელი ხატის გადასვენება ედესიდან კონსტანტინეპოლში.—ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი: შრომა. საჭირო ცნობა.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 сентября 1897 г. ♦ Цензоръ прот. Е. Е л и е в с .

Тифог. редакція журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ нутапсѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.